

ფავეტრიმ აქუა (Favetrim Aqua) Sulfadiazine, Trimethoprim

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები ფხვნილი (პრემიქსი), გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა

1 კგ შეიცავს: 416,7გ სულფადიაზინს და 83,3გ ტრიმეტოპრიმს.

შეფუთვის ფორმა: 100გ 500გ, 1000გ, 5000გ თეთრ პოლიეთილენის ქილებში და 25კგ თეთრ პოლიეთილენის ვედროში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:
სისტემური ანტიბაქტერიული პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები

სულფადიაზინის კომბინაცია ტრიმეტოპრიმთან განაპირობებს კომბინაციურ, სინერგისტულ მოქმედებას, უმეტეს შემთხვევაში მოქმედებს ბაქტერიციდულად, მრავალი გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების (მათ შორის პენიცილინის მდგრადი შტამების) მიმართ.

სულფადიაზინი მიეკუთვნება სულფანილამიდების ჯგუფს, შეუქცევადად ზღუდავს პარამინობენზოისმჟავასა და მის წარმოებულებს ბაქტერიაში. ტრიმეტოპრიმთან ერთად (დიამინოპრიმიდინის წარმოებულს), შეუქცევადად ზღუდავს ფოლის მჟავას სინთეზს, აჩერებს დეჰიდროფოლატ რედუქტაზას, რომელიც ჩართულია ტეტრაჰიდროფოლატის მჟავას სინთეზში, რაც განპირობებულია ბაქტერიული ნუკლეოტიდის სინთეზის დარღვევით, რის შედეგადაც ბაქტერიის სასიცოცხლო ფუნქციები წყდება და ბაქტერიები იღუპება.

პრეპარატს ახასიათებს კარგად გამოხატული ეფექტი გრამდადებითი აერობების (Bacillus sp., Corinebacterium sp., Erysipelotrix rhusiopathiae, Listeria monocitogenes და Streptococcus sp.), გრამუარყოფითი ბაქტერიების (Aeromonas sp, Flexibacter sp, Vibriion anguillorum, Vibrio



sallmonicida, Yersinia ruckerii, Pseudomonas sp., Haemophilus sp., Pasteurella sp., Yersinia sp., Borrelia sp. Ve Leptospira sp.), anaerobebis (Actinomycers sp, Fusobacterium sp.) da Mycoplasma sp., Chiamydia sp, Ehrlichia sp., Cooxiella burnetti, Anaplasma წინააღმდეგ. რამდენიმე Mycobacterium sp. და ზოგიერთ Nocardia sp. Ricksia sp., Leptospira sp., Pseudomonas aeruginosa, Mycoplasma sp. ახასიათებთ საშუალო მგრძობელობა.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება მტკნარი ან მლაშე წყლის, ზღვისა და სანაშენე თევზების დაავადებების სამკურნალოდ ბაქტერიული ჰემორაგიული სეპტიცემიის ჩათვლით (Aeromonas hydrophilla, Pseudomona sp.) დაავადების აღმძვრელი (Flexibacter columnaris) ე.წ. წითელი პირის დაავადება (Yersina ruckerii), სტრეპტოკოკური ინფექცია (ჰემოლიზური და არაჰემოლიზური სტრეპტოკოკები). ცივი წყლის ვიბრიოზი (Vibrien salmonicida), ცივი წყლის დაავადებები, ზამთრის დაავადებები (Pseudomonas anguilliseptica), წყლულოვანი დაავადებები (Haemophilus piscium) და მოზარდი კალმახის სინდრომი, რომელიც გამოწვეულია აღმძვრელით Cytophaga psycrophila.

გამოყენების წესი და დოზირება

გამოიყენება პერორალურად, თევზის საკვებში შერევით.

ფარმაკოლოგიური დოზა: 60მგ/კგ ც. წ-ზე დღეში ერთჯერ.

პრაქტიკული დოზა: 0.1გ/კგ ც. წ-ზე.

პრეპარატი მიიღება 7-10 დღე.

თევზის საკვები ნორმა (ცოცხალი წონის მიხედვით, %)	ფავეტრიმ აქუას რაოდენობა, რომელიც ერევა 1 ტ საკვებში (კგ)	ტრიმეტოპტიმის რაოდენობა რომელიც ერევა 1 ტ საკვებში (გ)	სულფადიაზინის რაოდენობა რომელიც ერევა 1 ტ საკვებში (გ)
0.5	12	1000	5000
1	6	500	2500
2	3	250	1250

საკვების პრეპარატთან ერთად მომზადება:

წინასწარ აწონილ ფავეტრიმ აქუას რაოდენობა თავსდება მიქსერში ან შემრევში (სუფთა, მშრალი, ზუსტი) და შერევის პროცესში ესხურება 1% ცხიმი, შერევის პროცესი გრძელდება 2-5 წთ და მიიღება ჰომოგენური მასა. პრეპარატის მიცემის წინ

თევზი უნდა ვაშიმშილოთ 12-24 სთ. საკვებისა და პრეპარატის პროპორცია დამოკიდებულია წყლის ტემპერატურასა და თევზის ზომაზე.

გვერდითი მოვლენები

რეკომენდებულ დოზებში გამოყენებისას არ აღინიშნება გვერდითი მოვლენები, სულფანილამიდების მიმართ მგრძობიარე ცხოველებში შეიძლება გამოწვიოს ალერგიული რეაქციები.

პრეპარატებთან ურთიერთქმედება

სულფანილამიდები ხასიათდება სინერგიზმით პარამინობენზოლმჟავასთან, პროკაინი, ბენზონკაინი და ბუტაკაინი, შესაძლოა ანტაგონისტური მოქმედება იქონიოს B-ჯგ ვიტამინებთან.

დაყოვნების პერიოდი

დაუშვებელია თევზის ადამიანისთვის საკვებად გამოყენება მკურნალობის პერიოდში. ადამიანისთვის თევზი საკვებად დასაშვები იქნება მაშინ როდესაც წყლის ტემპერატურა დღეების მიხედვით ჯამში მიაღწევს 550°C.

შენახვის პირობები და ვადა: ინახება 2 წლის განმავლობაში სინათლისგან დაცულ ადგილზე ოთახის ტემპერატურაზე 15-20°C.

მწარმოებელი ქვეყანა: ვილსანი, თურქეთი .